

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ საპენსიო სესხის ოდენობას ზრდის

დღეს სს „სახალხო ბანკმა“ წინასახალწლოდ საპენსიო სესხის მოცულობის გაზრდის შესახებ განაცხადა. პროგრამის ფარგლებში სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ საპენსიო პროგრამაში ჩართული ყველა პირი შეძლებს ყოველთვიური პენსიის ხუთმაგი ოდენობის სესხის მიღებას.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ზაფხულის ცნობილი მოვლენების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საპენსიო სესხი ყოველთვიური პენსიის ხუთმაგი ოდენობით გაიცემა.

„გაზრდილი საპენსიო სესხით სარგებლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით შეძლებს ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც ჩართულია საპენსიო პროგრამაში. ვიმედოვნებ, ეს წინასახალწლო წამოწყება სასიხარულო იქნება პროგრამის მონაწილეთათვის. სესხის გაცემა იწარმოებს ჩვენი ბანკის ყველა ფილიალსა და სერვის-ცენტრში მომხმარებლებისთვის უკვე კარგად ნაცნობი გამარტივებული პროცედურით“ – განაცხადა სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ **გიორგი არველაძემ**.

სს „სახალხო ბანკის“ შესახებ სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 28,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.